ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7803015

ნომერი: AR11125170

თარიღი : 16.01.2026

გაცემის თარიღი : 11.02.2026

გაცნობის თარიღი : 12.02.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ლეო კვაჭაძის ქუჩა, N 19დ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვერიკო ბაბუციძე პ/ნ 59004005792
- გორი ს. აჩაბეთი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 14 ივლისის №7553028 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 16 იანვარს №AR11125170 განცხადებით მომართა ვერიკო ბაბუციძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2025 წლის 14

ივლისის №7553028 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 14 ივლისის №7553028 ბრძანებით შეთანხმდა, ქ. თბილისში, ლეო კვაჭაძის №19დ-ში მდებარე №72.16.21.439 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (A-13) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2025 წლის 14 ივლისის №7553028 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და ბრძანებაში საპროექტო მიწის ნაკვეთის ძველი - №72.16.21.439 საკადასტრო კოდის ნაცვლად საპროექტო მიწის ნაკვეთის ახალი - №01.72.16.097.087 საკადასტრო კოდის დაფიქსირებას. ამასთან, ბრძანებაში იმ საკადასტრო ერთეულების დაფიქსირებას, რომლებზეც საპროექტო შენობა-ნაგებობისთვის განკუთვნილი ღია ავტოსადგომები არის განთავსებული.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია – №882026000535, მომზადების თარიღი: 08/01/2026 წ.) თანახმად, დღევანდელი მდგომარეობით, ქ. თბილისში, ლეო კვაჭაძის №19დ-ში მდებარე მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია №01.72.16.097.087 და აღნიშნული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ჯეი4“ (ს/ნ: 405067519). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B26010165, მომზადების თარიღი: 28/01/2026 წ.) თანახმად, შპს „ჯეი4“-ს ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს დავით საგანელიძე (პ/ნ: 01024006858). ხოლო, მის მიერ 2026 წლის 31 დეკემბერს გაცემული მინდობილობით დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი და შეთანხმებული დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი და შეთანხმებული დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით, ქ. თბილისში, ლეო კვაჭაძის №19დ-ში მდებარე მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია №01.72.16.097.087 და არ არის შეცვლილი საპროექტო მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია და ფართობი, შესაძლებელია სამსახურის 2025 წლის 23 დეკემბრის №7752764 ბრძანებაში ცვლილების შეტანა და №72.16.21.439 საკადასტრო კოდის ნაცვლად №01.72.16.097.087 საკადასტრო კოდის დაფიქსირება.
ამასთან, შეთანხმებული დოკუმნეტაციის მიხედვით საპროექტო ობიექტისთვის გათვალისწინებულია 16 ღია ავტოსადგომი საერთო ფართობით 219.7 კვ.მ., მათ შორის 3 ღია ავტოსადგომი (50.0 კვ.მ.) მდებარეობს №01.72.16.097.088 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, 7 ღია ავტოსადგომი (87.5 კვ.მ.) - №01.72.16.097.079 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ხოლო 6 ღია ავტოსადგომი (82.2 კვ.მ.) - №01.72.16.097.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიერ გამოცემულ 2025 წლის 14 ივლისის №7553028 ბრძანებაში ცვლილების შეტანას საკადასტრო კოდის მითითებისა და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობის დაფიქსირების ნაწილში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 14 ივლისის №7553028 ბრძანებაში და:
1.1. ბრძანების სატიტულო ინფორმაციაში მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ის ველში საკადასტრო კოდის გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
”· საკადასტრო კოდი: №01.72.16.097.087.“.
1.2. ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. შეთანხმდეს: ქ. თბილისში, ლეო კვაჭაძის ქუჩა №19დ-ში მდებარე №01.72.16.097.087 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (A-13) არქიტექტურული პროექტი.“.
1.3. ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 219.7 კვ.მ. მათ შორის, 3 ღია ავტოსადგომი (50.0 კვ.მ.) მდებარეობს №01.72.16.097.088 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, 7 ღია ავტოსადგომი (87.5 კვ.მ.) - № 01.72.16.097.079 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე და 6 ღია ავტოსადგომი (82.2 კვ.მ.) - №01.72.16.097.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე.“.
1.4. შეთანხმებული გენ-გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გასწორებული გენ-გეგმით.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის

2025 წლის 14 ივლისის №7553028 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 14 ივლისის №7553028 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.